

„არესემ საქართველო“
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ფინანსური ანგარიშგება - 31 დეკემბერი 2023

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
განმარტებითი შენიშვნები	5-12

	შენიშვნა	ინდივიდუალური 2023	2022	კონსოლიდირებული 2023	2022
ამონაგები					
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	4	3,424,665	2,745,663	5,215,633	4,106,931
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	4	(2,370,004)	(2,482,254)	(3,648,468)	(3,124,975)
საერთო მოგება		1,054,661	263,409	1,567,165	981,956
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(714,238)	(645,306)	(1,027,618)	(1,011,890)
საპროცენტო ხარჯი		(6,551)	(30,381)	(6,551)	(30,381)
საოპერაციო მოგება		333,872	(412,278)	532,996	(60,315)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	5	-	79,900	-	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახდამდე		333,872	(332,378)	532,996	(60,315)
წმინდა მოგება/(ზარალი)		333,872	(332, 378)	532,996	(60,315)
სხვა სრული შემოსავალი			-		-
სულ სრული შემოსავალი		333,872	(332,378)	532,996	(60,315)
მოგება განკუთვნილი დედა კომპანიისთვის:					
მოგება/(ზარალი) განკუთვნილი დედა კომპანიის მფლობელთათვის		-	-	435,270	(232,777)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		-	-	97,726	172,462

დირექტორი:

გიორგი კვინიკაძე



		ინდივიდუალური		კონსოლიდირებული	
	შენიშვნა	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
აქტივები					
მოკლევადიანი აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	6	275,559	73,588	694,110	138,049
მოთხოვნები	7	234,789	147,056	674,953	415,822
გადახდილი ავანსები		108,558	18,038	111,469	20,164
მარაგები				12,397	36,698
სხვა მიმდინარე აქტივები		527	389	32,027	31,889
სულ მოკლევადიანი აქტივები		619,433	239,071	1,524,956	642,622
გრძელვადიანი აქტივები					
სხვა არამატერიალური აქტივები		105,303	105,304	105,303	105,304
ძირითადი საშუალებები	9	371,979	372,016	411,573	412,868
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	8	219,673	233,273	164,943	178,543
სულ გრძელვადიანი აქტივები		696,955	710,593	681,819	696,715
სულ აქტივები		1,316,388	949,664	2,206,775	1,339,337
ვალდებულებები					
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	11	882,718	731,893	1,310,865	890,183
გამოუმუშავებელი შემოსავალი		840,624	928,860	1,099,393	1,093,938
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			-	73,912	138,708
საგადასახადო ვალდებულებები		102,010	117,651	215,896	228,700
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	11	1,825,352	1,778,404	2,700,066	2,351,529
გრძელვადიანი ვალდებულებები					
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		45,614	66,686	45,615	66,686
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		45,614	66,686	45,615	66,686
სულ ვალდებულებები		1,870,966	1,845,090	2,745,681	2,418,215
საკუთარი კაპიტალი					
მფლობელთა კაპიტალი		135,000	135,000	192,325	192,325
დაგროვილი ზარალი		(840,098)	(1,173,970)	(855,683)	(1,290,953)
გადაფასების რეზერვი		150,520	143,544	150,520	143,544
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი		-	-	(512,838)	(955,084)
არამაკონტროლებელი წილი		-	-	(26,068)	(123,794)
სულ საკუთარი კაპიტალი		(554,578)	(895,426)	(538,906)	(1,078,878)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,316,388	949,664	2,206,775	1,339,337

დირექტორი:
გიორგი კვინიკაძე

ინდივიდუალური

	მფლობელთა კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი ზარალი	სულ
2022 წლის 1 იანვარი	135,000	150,524	(841,592)	(557,903)
კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
წმინდა მოგება	-	-	(332,378)	(332,378)
გადაფასების რეზერვი	-	(5,145)	-	(5,145)
2022 წლის 31 დეკემბერი	135,000	143,544	(1,173,970)	(895,426)
კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
წმინდა მოგება	-	-	333,872	333,872
გადაფასების რეზერვი	-	6,976	-	6,976
2023 წლის 31 დეკემბერი	135,000	150,520	(840,098)	(554,578)

კონსოლიდირებული

	მფლობელთა კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	მშობელი კომპანიის წილი	არამაკონტროლებ ელი წილი	სულ
2022 წლის 1 იანვარი	192,325	148,689	(1,058,176)	(212,888)	(930,050)
კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-	-
წმინდა მოგება	-	-	(232,777)	172,462	(60,315)
	-	-	-	(83,368)	(83,368)
გადაფასების რეზერვი	-	(5,145)	-	-	(5,145)
31 დეკემბერი 2022	192,325	143,544	(1,290,953)	(123,794)	(1,078,878)
კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-	-
წმინდა მოგება	-	-	435,270	97,726	532,996
გადაფასების რეზერვი	-	6,976	-	-	6,976
31 დეკემბერი 2023	192,325	150,520	(855,683)	(26,068)	(538,906)

დირექტორი:
 გიორგი კვინიკაძე



შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არესემ საქართველო“ (შემდგომში - „დედა კომპანია“) დაფუძნებულია 2008 წლის 8 მაისს. კომპანია დარეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 პუნქტის თანახმად. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აუდიტორული, ბუღალტრული, სამემფასებლო საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100 %-იან მფლობელს წარმოადგენს გიორგი კვინიკაძე.

დედა კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

სახელწოდება	საქმიანობის ქვეყანა	მფლობელობა (%)		საქმიანობის ტიპი	კონსოლიდირებული
		2023	2022		
შპს "კაპტო დიზაინი"	საქართველო	50%	50%	დიზაინი	არა
შპს "კაპტო არბიტრაჟი"	საქართველო	100%	100%	უმოქმედო	არა
შპს "კაპტო აი ბი სი"	საქართველო	50%	50%	უმოქმედო	არა
შპს „კაპტო ბი ემ ჯი“	საქართველო	50%	50%	საკონსულტაციო	კი
შპს „არესემ საქართველო მენეჯმენტი და კონსალტინგი“	საქართველო	100%	100%	უმოქმედო	არა
შპს "არესემ საქართველო სოლუშენს"	საქართველო	51%	51%	საკონსულტაციო	კი

ჯგუფი იკონსოლიდირებს მხოლოდ შპს „არესემ საქართველო სოლუშენს“ და შპს „კაპტო ბი ემ ჯი“-ს ფინანსურ მაჩვენებლებს, რადგან სხვა კომპანიებზე არ ფლობს კონტროლს.

შენიშვნა 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

კონსოლიდაციის საფუძვლები

შვილობილი კომპანიები, ანუ საწარმოები, რომლებიც ჯგუფის მიერ კონტროლდება, კონსოლიდირებულია. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანია იღებს, ან აქვს უფლება მიიღოს, ცვლადი უკუგება ინვესტიციის ობიექტისგან და აქვს უნარი, გავლენა მოახდინოს უკუგებაზე ინვესტიციის ობიექტზე ზემოქმედებით. კერძოდ, კომპანია აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე (ანუ არსებული უფლებები, რომლებიც მას აძლევს საშუალებას წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა);
- იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების შესაბამისად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავს

უფლებებს, ჯგუფი ითვალისწინებს ყველა აქტუალურ ფაქტსა და გარემოებას ინვესტიციის ობიექტზე გავლენის შეფასებისას, მათ შორის:

- სახელშეკრულებო გარიგებას (გარიგებები) ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე სხვა პირებთან;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებულ უფლებებს;
- ჯგუფის ხმის უფლებებს და პოტენციურ ხმის უფლებებს.

შვილობილი კომპანიები კონსოლიდირდება იმ თარიღიდან, როდესაც კონტროლი გადაეცემა მშობელ კომპანიას და მათი კონსოლიდაცია წყდება იმ თარიღიდან, როდესაც წყდება კონტროლი. ჯგუფის ყველა შიდა გარიგება, ნაშთები და არარეალიზებული მოგება ჯგუფის კომპანიებს შორის შემდგარი გარიგებებიდან სრულად გაიქვითება; ასევე გაიქვითება არარეალიზებული ზარალი ამ გარიგებებიდან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარიგება ასახავს გადაცემული აქტივის გაუფასურებას. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

შვილობილი კომპანიის საკუთარ კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის შეცვლის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. ზარალი მიეკუთვნება არასაკონტროლო წილს მაშინაც კი, თუ ეს ბალანსის დეფიციტს იწვევს.

თუ მშობელი კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი ჩამოწერს შვილობილი კომპანიის აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს, ნებისმიერი არასაკონტროლო წილის საბალანსო ღირებულებას, კუმულაციურ საკურსო სხვაობას, რომელიც კაპიტალშია აღრიცხული; აღიარებს მიღებული ანაზღაურების თანხის სამართლიან ღირებულებას, ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის და მოგებაში ან ზარალში ნებისმიერი ზედმეტობის ან დეფიციტის სამართლიან ღირებულებას და ახდენს მანამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ კომპონენტებში მშობელი კომპანიის წილის რეკლასიფიკაციას მოგებაში ან ზარალში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

(ა) შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება შესრულებული ოპერაციის შესრულების სტადიის მიხედვით, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- შემოსავლის ოდენობის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოსალოდნელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოსვლა ერთეულში;
- შესაძლებელია მომსახურების გაწევის ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო თარიღისთვის;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისთვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

(ბ) შემოსავალი იჯარებიდან

შემოსავლები იჯარიდან წარმოადგენს ფართის გაქირავებით მიღებულ შემოსავლებს და აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საოპერაციო იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მეიჯარისგან მოიჯარისთვის. საიჯარო გადასახდელები აღიარდება პერიოდის ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

იჯარა, რომელიც გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. მოიჯარის მიერ იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებისთვის მეიჯარისთვის განხორციელებული გადახდები, გარდა ცვლადი საიჯარო გადახდებისა.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიას სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2,6894	2,9753
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.7020	2.8844

ფინანსური ინსტრუმენტები

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

საპროცენტო ხარჯები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ინვესტიცია შვილობილში და მეკავშირე კომპანიებში

ინვესტიციები შვილობილში პოლიტიკა: “ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ინვესტიციის გაუფასურებაზე შემოწმება. დივიდენდები შვილობილი და მეკავშირე კომპანიებიდან აღიარდება ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როცა მტკიცდება კომპანიის უფლება, მიიღოს აღნიშნული დივიდენდი”

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიას დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივებზე, მოხმარებული ნაწილის ღირებულების შემცირებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შენობებზე 5% ის ოდენობით, სატრანსპორტო საშუალებებსა და ტექნიკაზე - წლიური 10%-დან 20%-მდე, ხოლო საოფისე აღჭურვილობაზე - წლიური 15%-დან 20%-მდე განაკვეთი.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის მასშტაბი.

არამატერიალური აქტივები

ორგანიზაციის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფებს

პროგრამულ უზრუნველყოფებს ერიცხება ამორტიზაცია წრფივი მეთოდით გამოყენებით, წლიური 10-15 ოდენობით.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, შემოსავლის აღიარება, ცვთის და ამორტიზაციის ნორმების განსაზღვრა, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

შენიშვნა 4. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან და გაწეული თვითღირებულება

	ინდივიდუალური		კონსოლიდირებული	
	2023	2022	2023	2022
*შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	3,367,308	2,724,283	5,158,591	4,085,551
სხვა შემოსავალი	57,357	21,380	57,042	21,380
	3,424,665	2,745,663	5,215,633	4,106,931

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან შედგება: ფინანსური აუდიტი, ქონების შეფასება, ბუღალტრული და საკონსულტაციო მომსახურებებისგან.

გაწეული მომსახურების თვითღირებულება:

	ინდივიდუალური		კონსოლიდირებული	
	2023	2022	2023	2022
შრომის ანაზღაურება პირდაპირი	2,370,004	2,482,254	3,648,468	3,124,975
	2,370,004	2,482,254	3,648,468	3,124,975

შენიშვნა 5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	ინდივიდუალური		კონსოლიდირებული	
	2023	2022	2023	2022
საიჯარო ქირა	169,021	155,634	185,150	171,079
სადაზღვევო ხარჯები	37,106	42,224	37,106	42,224
კომუნალური ხარჯები	35,331	65,966	50,332	80,975
ადმინისტრაციის ხელფასი	134,780	137,397	368,419	405,672
ცვეთა - ამორტიზაცია	19,781	14,273	28,758	23,171
რეკლამის ხარჯები	14,486	10,959	18,486	17,528
საქველმოქმედო ხარჯები	-	8,500	500	8,700
საკონსულტაციო ხარჯი	7,095	27,329	7,095	27,329
საბანკო ხარჯები	3,656	2,511	4,233	4,696
დადებითი საკურსო სხვაობები	(15,560)	(8,179)	(15,662)	47,972
სხვა ხარჯები	308,542	188,692	343,201	182,544
	714,238	645,306	1,027,618	1,011,890

შენიშვნა 6. ფული და ფულის ექვივალენტები

	ინდივიდუალური		კონსოლიდირებული	
	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ფული სალაროში	107,945	72,738	526,496	82,619
ფული ბანკში	167,614	850	167,614	55,430
	275,559	73,588	694,110	138,049

შენიშვნა 7. მოთხოვნები

	ინდივიდუალური		კონსოლიდირებული	
	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	234,789	147,056	674,953	415,822
	234,789	147,056	674,953	415,822

შენიშვნა 8. ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე კომპანიებში

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
შპს "კაპტო დიზაინი"	164,643	178,243
შპს "კაპტო არბიტრაჟი"	200	200
შპს "კაპტო აი ბი სი"	100	100
შპს "ბი ემ ჯი"	-	-
შპს "არესემ საქართველო სოლუშენს"	54,730	54,730
	219,673	233,273

შენიშვნა 9. მფლობელთა კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი შედგება ფულადი შენატანებისგან. 2023 და 2022 წლების განმავლობაში მფლობელთა კაპიტალი შეადგენს 135,000 ლარს.

შპს „არესემ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში



შენიშვნა 10. ძირითადი საშუალებები ინდივიდუალური

	შენიშვნები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	303,875	65,455	130,940	32,486	24,429	7,584	564,769
შეძენა	-	2,618	4,455	-	-	-	7,073
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	(1,000)	-	-	-	(1,000)
2022 წლის 31 დეკემბერი	303,875	68,073	134,395	32,486	24,429	7,584	570,842
შეძენა	-	3,300	5,226	40,500	-	-	49,026
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-	(24,778)	-	-	(24,778)
2023 წლის 31 დეკემბერი	303,875	71,373	139,621	48,208	24,429	7,584	595,090
2021 წლის 31 დეკემბერი	(1,834)	(60,848)	(108,551)	(1,541)	-	(7,079)	(179,853)
ცვეთის ხარჯი	(1,834)	(5,488)	(10,442)	(1,646)	-	(8)	(19,418)
ჩამოწერა	-	-	445	-	-	-	445
2022 წლის 31 დეკემბერი	(3,668)	(66,336)	(118,548)	(3,187)	-	(7,087)	(198,826)
ცვეთის ხარჯი	(3,484)	(3,162)	(9,952)	(9,318)	-	-	(25,916)
ჩამოწერა	-	-	-	1,631	-	-	1,631
2023 წლის 31 დეკემბერი	(7,152)	(69,498)	(128,055)	(10,874)	-	(7,087)	(223,111)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2021 წლის 31 დეკემბერი	303,875	4,607	22,389	30,945	24,429	505	384,916
2022 წლის 31 დეკემბერი	300,207	1,737	15,847	29,299	24,429	497	372,016
2023 წლის 31 დეკემბერი	296,723	1,875	11,566	37,334	24,429	497	371,979

შენიშვნა 10. ძირითადი საშუალებები კონსოლიდირებული

	შენიშვნები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	303,875	76,428	208,975	32,486	28,904	13,191	663,860
შეძენა	-	12,490	9,902	-	-	-	22,392
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	(6,246)	-	-	-	(6,246)
2022 წლის 31 დეკემბერი	303,875	88,918	212,631	32,486	28,904	13,191	680,005
შეძენა	-	7,267	9,429	40,500	-	-	57,196
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-	(24,778)	-	-	(24,778)
2023 წლის 31 დეკემბერი	303,875	96,185	222,060	48,208	28,904	13,191	712,426
აკუმულირებული ცვლათა							
2022 წლის 1 იანვარი	(1,834)	(70,558)	(152,566)	(1,541)	(1,261)	(12,234)	(239,995)
წლის ცვლილების ხარჯი	(1,834)	(6,673)	(18,260)	(1,646)	(479)	(28)	(28,920)
ჩამოწერა	-	-	1,776	-	-	-	1,776
2022 წლის 31 დეკემბერი	(3,668)	(77,231)	(169,050)	(3,187)	(1,740)	(12,262)	(267,138)
წლის ცვლილების ხარჯი	(3,484)	(5,406)	(16,557)	(9,318)	-	(578)	(35,343)
ჩამოწერა	-	-	-	1,631	-	-	1,631
2023 წლის 31 დეკემბერი	(7,152)	(82,637)	(185,607)	(10,874)	(1,740)	(12,840)	(300,850)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2020 წლის 31 დეკემბერი	302,041	5,871	56,409	30,945	27,643	956	423,869
2021 წლის 31 დეკემბერი	300,207	11,688	43,581	29,299	27,164	928	412,868
2023 წლის 31 დეკემბერი	296,723	13,548	36,453	37,334	27,164	351	411,573

შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	ინდივიდუალური		კონსოლიდირებული	
	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულება	210,686	292,747	622,182	477,903
გადასახდელი ხელფასები	309,694	225,418	332,306	258,271
სხვა დარიცხვები	362,338	213,728	356,377	154,009
	882,718	731,893	1,310,865	890,183

შენიშვნა 12. პირობითი ვალდებულებები

ჯგუფი ქირაობს ფართს იჯარით, ქვემოთ მოცემულია იჯარასთან დაკავშირებული მოსალოდნელი საიჯარო გადასახდელები:

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული გადასახდელები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
1 წლის განმავლობაში	132,504	132,504
1 წლიდან 5 წლამდე პერიოდში	736,780	736,780
5 წლის შემდგომ პერიოდში	736,780	736,780
	1,606,064	1,606,064

შენიშვნა 13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს მენეჯმენტისთვის განსაზღვრულ ანაზღაურებას

	ინდივიდუალური		კონსოლიდირებული	
	2023	2022	2023	2022
მენეჯმენტის ანაზღაურება	285,000	304,850	482,990	408,294
	285,000	304,850	482,990	408,294

შენიშვნა 14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ჯგუფში არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები რომლის ასახვაც იქნებოდა საჭირო განმარტებით შენიშვნებში ამ ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის.